ნაცადი გზით!

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 4 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ბასტია" (საფრანგეთი) 3:1 (1:0).

"დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე (ჟვანია, ჩელებაძე), ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

"ბასტია": იარი, კაზი, ბაკონიე, ორლანდუჩი, ბაჯიკა, ფიარი, პონტე, ნილი, მილა, ერანშე, მარსიალი.

მსაჯი: ო. როოტი (გფრ).

გააფრთხილეს სვანაძე, ბაჯიკა, ფიარი.

მაყურებელი - 80.000.

"ბასტია" - არსებითად ეს უცნობი გუნდი იყო, თბილისის დინამოელთა მეტოქე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალში, რომელმაც თავის მინდორზე თბილისელებთან პირველ მატჩში ძლივს აიღო ერთი ქულა (1:1)!

ამ მეტოქესთან შეხვედრების წინ ჩვენ, თბილისის "დინამოს" გულშემატკივრები, უმთავრესად ყურმოკრული ცნობებით ვიკვებებოდით: ვიცოდით, რომ "ბასტია" კოსრიკის წარმომადგენელია, საფრანგეთის ჩემპიონატში სულ ერთხელ ჰქონია მოპოვებული მესამე საპრიზო ადგილი, ჰყავს რამდენიმე პირველხარისხოვანი ფეხბურთელი (პონტე, მილა, პაპი, იარი, ორლანდუჩი), მაგრამ ყველაფერი ეს უკანა პლანზე გადადიოდა, როცა პარალელურად ვეცნობოდით ასეთ მონაცემებსაც: გამარჯვებები პორტუგალიის "სპორტინგთან", ინგლისის "ნიუ-კასლ იუნაიტედთან", იტალიის "ტორინოსთან", გდრ-ის "კარლსაისთან"... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა შეუძლია საფრანგეთის თასის მოგება უბრალოდ ხელწამოსაკრავ გუნდს?

და აი, ვიხილეთ ეს "ბასტია" ჩვენს სტადიონზე.

ფრანგების გუნდი, უდავოდ, ტექნიკურია, მას გააჩნია გარკვეული ტაქტიკური ნახაზი, რომელიც ამ მატჩსი გამოიხატებოდა საფუძვლიანად ორგანიზებული პერსონალური დაცვით და სახიფათო კონტრშეტევებით, აღსანიშნავია ფეხბურთლთა კარგი ფიზიკური მომზადებაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, თბილისის "დინამო" მეტოქეზე გაცილებით უფრო ძლიერია და მისი წარმატება ორი მატჩის საერთო ჯამში სავსებით კანონზომიერიც არის.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს იყო თბილისის "დინამოს" საუკეთესო მატჩი, რომ მან აჩვენა ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რაც კი შეუძლია. გამოუყენებელი რეზერვები საკმარისად დაგვრჩა, ტემპიც არ იყო ისეთი, ჩვენს ფეხბურთელებს რომ ჩვევიათ, მაგრამ ის, რაც საჭირო იყო მატჩის მოსაგებად და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, გუნდმა გააკეთა, საწადელს მიაღწია და მეტის მოსურნეებს დავამშვიდებთ იმით რომ დანარჩენს "დინამო" ალბათ მაშინ გააკეთებს, როცა მეოთხედფინალის მატჩები ექნება.

...მასპინძელთა პირველი იერიშების შემდეგ თამაში თითქოს ერთგვარად მიწყნარდა, მოიკლო დინამოელთა იერიშებმა, "ბასტიამ" რამდენადმე წინ გადმოინაცვლა - მინდვრის შუაგულში, მაგრამ მე-15 წუთზე "დინამომ" ანაზდად,

სწრაფად ჩართო თავისი სრული სიჩქარე, მარცხენა ფლანგიდან შეტევა წამოიწყო გუცაევმა, იგი გააგრძელა დარასელიამ, გადასცა ბურთი შენგელიას და კორსიკელთა კარში პირველი გოლი აღმოჩნდა. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ "ბასტიის" მცველები, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ყრუ დაცვას ფრანგებისთვის უკვე აღარ ჰქონდა აზრი, ამიტომ გუნდმა ინიციატივის აღება სცადა ხელთ. ათამაშდნენ მილა, ერანშე, პონტე, ერთხელ სახიფათოდ დაარტყა კარში მარსიალმაც, მაგრამ "ბასტიის" თავდამსხმელთა ეს აქციები აშკარად არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ შეერყია დინამოელთა დაცვა.

კორსიკელებმა ერთხანს იაქტიურეს შესვენების შემდეგაც, კვლავ ცდილობდნენ პარტნიორების აყოლიებას მილა და პონტე, მაგრამ თბილისელებმა თანდათან, მეთოდურად მოუმატეს ტემპს და "ბასტია" კვლავ ღრმა დაცვაში ჩაჯდა. მე-60 წუთზე სულაქველიძემ მარცხენა ფრთაზე დაამუშავა ბურთი, წამით განთავისუფლდა მეტოქის მეურვეობისგან და შემოტრიალებით ძლიერად დაარტყა იარის კარში. ეს იყო ლამაზი, შესანიშნავი, ოსტატურად გატანილის გოლი - 2:0.

74-ე წუთზე ბრწყინვალედ ითამაშა შენგელიამ, რომელმაც ინდივიდუალური დრიბლინგისა და პარტნიორთან კომბინაციური ურთიერთმოქმედების შედეგად მესამედ აიღო მეტოქის კარი და ფაქტიურად გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნეთ სულაქველიძისა და შენგელიას ეს გოლები, საქები ეპითეტებიც საკმაოდ გამოვთქვით, მაგრამ არა გვგონია, რომ გადაჭარბებით ვთქვით რამე, პირიქით. ორივე ეს გატანილი ბურთი მეტი შექების ღირსიცაა.

მიმდინარეობდა უკვე მატჩის ბოლო წუთი, მსაჯიც მზად იყო თამაშის დასამთავრებლად, მაყურებლებიც ამას მოელოდნენ. და, ეტყობა, დინამოელი ფეხბურთელებიც ამ განწყობით იყვნენ, მაგრამ მილამ ახლო მანძილიდან შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა - 1:3.

საკადრისი მივუზღათ "ბასტიის" ამ პრესტიჟის გოლს, მით უმეტეს, რომ მას ჩვენი გუნდისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა ჰქონდა: თბილისის "დინამომ" 2 მატჩის ჯამში გაიმარჯვა საერთო ანგარიშით 4:2 და გავიდა თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში, ეს კი ჩვენთვის უკვე ნაცადი, ნაცნობი გზაა.

მატჩის დამთავრების შემდეგ სტადიონის პრეს-ცენტრში "ბასტიის" მწვრთნელს ა. რედენს ზედიზედ აყრიდნენ კითხვებს როგორც მატჩის გასაშუქებლად ჩამოსული ფრანგი ჟურნალისტები, ისე ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები.

ა. რედენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განვლილ თამაშში მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს შენგელიამ და გუცაევმა, რომ ისინი ამ საღამოს შუდარებელნი იყვნენ.

მწვრთნელს ასეთი კითხვით მივმართეთ: "ლელოსთვის" ადრე მიცემულ ინტერვიუში თქვენ ამბობდით, რომ "ბასტია" საერთო კლასით საგრძნობლად, შეიძლება ითქვას, მთელი თავით დაბლა დგას "დინამოზე", მაგრამ თუ დღევანდელ მატჩს გავითვალისწინებთ, კორსიკელებმა ღირსეულად ითამაშეს. თქვენი წინასწარი კვალიფიკაცია საკუთრი გუნდის თავმდაბლობას მიეწერება თუ მეტოქის ყურადღების მოდუნება გსურდათ?

ამაზე ა. რედენმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და გვიპასუხა:

- გმადლობთ, კომპლიმენტისთვის!

შემდეგ მწვრთნელს ჰკითხეს, საერთოდ კმაყოფილია თუ არა თავისი გუნდის თამაშით?

- რომელ კმაყოფილებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მატჩი წაგებულია და შეჯიბრებას გამოვეთიშეთ. აქ ცალკეულ მომენტებს თუ გამოვყოფთ, ამ მხრივ მინდა დავასახელო ახალგაზრდა ერლაშე (№10), რომელმაც წარმატებით შეცვალა ტრავმირებული პაპი. ამას გარდა, პრესტიჟის გოლი გავიტანეთ და ეს გარკვეულწილად რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა საკუთარ გულშემატკივართა თვალში.

ბ. ქორქია.

”ლელო”, 5 ნოემბერი, 1981 წ.